# ევროპის საინვესტიციო ბანკის **მიმოხილვა**

2019



ევროპის საინვესტიციო ბანკი ევროკავშირის კრედიტორი ინსტიტუციაა.

ჩვენი ბანკი მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მრავალმხრივი კრედიტორი და კლიმატის საკითხების დამფინანსებელია.

ჩვენ ვეხმარებით ეკონომიკის განვითარებას, ვქმნით სამუშაო ადგილებს და ხელს ვუწყობთ თანასწორობას.

ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი ორი ნაწილისაგან შედგება: ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF). EIF მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზეა სპეციალიზებული.

გადაფურცლეთ ეს გვერდები და აღმოაჩინეთ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ინსტიტუცია მსოფლიოში.

ჩვენი ბანკის დაფინანსებით 2018 წელს ტრანსპორტი 290 მილიონი მგზავრისთვის გაუმჯობესდა.

| | |
|---|---|
| €230,000,000,000 | ინვესტიციაში, მოზიდული EIB-ის საქმიანობებით |
| €64,190,000,000 | EIB-ის ჯგუფის დაფინანსებაში[1] |
| €60,000,000,000 | მოზიდულია ობლიგაციების გლობალურ ბაზრებზე |
| €23,270,000,000 | მცირე ბიზნესის დაფინანსებაში |
| €13,520,000,000 | ინოვაციის ხელშესაწყობად |
| 5,000,000 | სამუშაო ადგილი მცირე კომპანიებისათვის |
| 854 | ხელმოწერილი პროექტი |
| 29% | EIB-ის დაფინანსებიდან კლიმატის საკითხებისკენ მიიმართა |

[1] 2018 წელს 64.19 მილიარდი ევროს დაფინანსებით მოვიზიდეთ 230 მილიარდი ევროს ოდენობის ინვესტიცია. EIB, როგორც წესი, არ აფინანსებს პროექტის ღირებულების 50%-ზე მეტს, ამიტომ ჩვენი ჩართულობა ხელს უწყობს სხვა ინსტიტუტებს პროექტების დაფინანსებაში.

2018 წელს ბანკმა გარემოს დაცვისთვის
15.15 მილიარდი ევრო გამოჰყო.

# ჩვენი პრიორიტეტი

ევროპის საინვესტიციო ბანკი ოთხ ძირითად სფეროზე ამახვილებს ყურადღებას: ინოვაცია, მცირე ბიზნესები, კლიმატი და ინფრასტრუქტურა.

ჩვენი ეკონომისტების, ინჟინრების, ფინანსური ანალიტიკოსებისა და კლიმატის სპეციალისტების კომბინირებული კომპეტენტურობა ჩვენი პროექტების წარმატებას უზრუნველყოფს. თავის მხრივ, ჩვენი სპეციალისტების დასტურის ბეჭედი კიდევ უფრო მეტ ინვესტიციას იზიდავს კერძო სექტორიდან. ჩვენ ადამიანთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად მთელ მსოფლიოში ვმუშაობთ. 2018 წელს სასმელი წყალი 20 მილიონი ადამიანისთვის გავხადეთ უფრო უსაფრთხო, მილიონობით მძღოლისთვის უკეთესი გზები დავაგეთ და 34 მილიონზე მეტი ოჯახი ელექტროენერგიით უზრუნველვყავით.

EIB-ის მხარდაჭერით, კვიპროსის ნევროლოგიისა და გენეტიკის ინსტიტუტმა კვლევისა და მკურნალობისთვის განკუთვნილი თავისი დაწესებულებები გაარემონტა.

ჩვენი დაფინანსება და კონსულტირება ხელს უწყობს მილიონობით სამუშაო ადგილს და ათასობით მცირე ბიზნესის წარმატებულ განვითარებას. 2018 წელს ჩვენმა დაფინანსებამ 374,000 მცირე კომპანიამდე მიაღწია. უახლესი ინოვაციისა და კლიმატის საკითხების მხარდაჭერის მეშვეობით ევროპას უფრო კონკურენტუნარიანს ვხდით. 2018 წელს ჩვენი დახმარებით 29 მილიონი მაღალსიჩქარიანი ციფრული კავშირი შედგა.

სტრატეგიული ინვესტიციების ევროპული ფონდი (EFSI) – ჩვენი ერთ-ერთი ინსტრუმენტია. ის მიზნად ისახავს ევროპაში დაფინანსების დიდი ჩავარდნის აღმოფხვრას 2020 წლისთვის 500 მილიარდი ევროს ოდენობის ინვესტიციის შექმნით. 2018 წლის ბოლოს EIB-ის ჯგუფმა EFSI-დან 70.4 მილიარდი ევროს დაფინანსება დაამტკიცა და 375.5 მილიარდი ევროს ოდენობის ინვესტიცია მოიზიდა.

შემდუღებელი ავტობუსების ამწყობ ქარხანაში სენეგალში. EIB-მა დააფინანსა ფონდი, რომელიც ამ კომპანიის წარმატებულ განვითარებას უწყობს ხელს.

# ჩვენი კლიენტები

ჩვენ სესხებს გავცემთ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორისთვის. მხარს ვუჭერთ მცირე კომპანიებს ადგილობრივი ბანკების დახმარებით და ვასესხებთ თანხებს ინოვაციურ სტარტაპებს. საშუალო ზომის კომპანიებს შეუძლიათ პირდაპირი დახმარების მიღება კვლევისა და განვითარების ინვესტიციებისათვის. ჩვენი სესხი არასოდეს აღემატება პროექტის ღირებულების ნახევარს, რადგან გვსურს, რომ ჩვენმა სესხებმა მოიზიდოს დაფინანსება კერძო ინვესტორებისა და სხვა საჯარო საფინანსო დაწესებულებებისაგან.

ბანკი ფინანსური პროდუქტების ფართო სპექტრს სთავაზობს. ზოგიერთი პროექტისთვის, რომელიც ევროპაში ინოვაციებსა და შესაძლებლობების განვითარებას უჭერს მხარს, უფრო მაღალ რისკზე მივდივართ, ვიდრე კომერციული ბანკები. ჩვენ ასევე ვთავაზობთ ტექნიკურ დახმარებას პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში.

ჩვენი ბანკი ეხმარება ისეთ ქალაქებს, როგორიცაა პარიზი, განახლებადი ენერგიის გამოყენებაში, მობილურობის გაუმჯობესებაში და გზებისა და ხიდების განახლებაში.

# ჩვენი რესურსები

EIB ფინანსურად ავტონომიურია. თანხებს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე ობლიგაციების გამოშვებიდან ვიღებთ.

ჩვენი შესანიშნავი საკრედიტო რეიტინგი იმაზე მიუთითებს, რომ ფულს კარგი განაკვეთებით ვიღებთ და ამ სარგებლებს ჩვენს კლიენტებზე ვავრცელებთ.

ჩვენ წარმოვადგენთ გლობალურ ბაზრებზე არსებულ ერთ-ერთ ყველაზე მწვანე მრავალმხრივ ბანკს. ჩვენმა ბანკირებმა გამოიგონეს „მწვანე ობლიგაციების“ ბაზარი.

# ჩვენი ვალდებულებები

- ყველა საქმიანობაში მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები
- ძლიერი მმართველობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება
- მინიმალური ეკოლოგიური კვალი

ჩვენი შეთავაზებების შესახებ
დამატებითი ინფორმაციის მისაღებად
ეწვიეთ ვებგვერდს:
www.eib.org/products.

ევროპის
საინვესტიციო
ბანკი
ევროკავშირის ბანკი

EUROPEAN
INVESTMENT
FUND

**ევროპის საინვესტიციო ბანკი**
info@eib.org
**www.eib.org**

© EIB 01/2019

print: QH-02-19-008-KA-C ISBN 978-92-861-4213-0 doi:10.2867/186613
pdf: QH-02-19-008-KA-N ISBN 978-92-861-4204-8 doi:10.2867/09134